თავდასხმა ფორმაში შედის

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 18 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “პახტაკორი” (ტაშკენტი) 4:2 (1:0).

“პახტაკორი”: პშენიჩნიკოვი, ზაკიროვი, მოტორინი, სუიუნოვი, კახაროვი, მუხინი, აბდურაიმოვი, ტაზეტდინოვი, კრასნიცკი, ტაჯიროვი, ბელიაკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი.

მსაჯი ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

პირველი შენიშვნა, რაც გუშინდელი მატჩის შესახებ გვინდა გავაკეთოთ, ეხება ჩვენი გუნდის თავდასხმას. მან ითამაშა გაცილებით უკეთესად, შეთანხმებულად, აგრესიულად და იმ თავდასხმას მოგვაგონებდა, როცა იგი სრულ წესრიგში იყო. შეიძლება “პახტაკორის” უკანა ხაზების სიძლიერე რამდენადმე ჩამორჩება იმ გუნდებისას, რომლებთანაც ადრე გვითამაშია წელს, მაგრამ მისი რიგები მაინც ძნელად გასარღვევია, ვინაიდან 5-6 მოთამაშისაგან აღმართულ კედელში თავისთავად ძნელია გასასვლელის პოვნა. იერიშის წარმოებისას “დინამოს” ფორვარდები კარგად ირჩევდნენ ადგილებს ბურთის გასათამაშებლად, საერთო ენა მოძებნილ იქნა ორივე ფლანგზე, კერძოდ, სრული დატვირთვით ითამაშა მეტრეველმა მეორე ტაიმში და სრულ კონტაქტში იყო პარტნიორებთან. თავისი დიდი კომბინაციური ალღო და ტაქტი გამოავლინა ბარქაიამ. იგი მინდვრის სიღრმეში კილექტიურად მოქმედებდა და იერიშის საბოლოო ფაზაში სისტემატურად გადიოდა სახიფათო პოზიციაში კარის წინ იამანიძესა და კალოევთან ერთად.

მაგრამ ამჯერად სუსტად, არაორგანიზებულად ითამაშა თბილისელთა დაცვამ. ის ორი ბურთი, რომლებიც კოტრიკაძემ გამოიტანა კარიდან, ტაშკენტელებმა გაიტანეს მაშინ, როცა მათს რიგებში 10 მოთამაშე დარჩა (მსაჯმა მინდვრიდან გააძევა აბდურაიმოვი უცენზურო სიტყვების ხმარებისათვის). “პახტაკორი” ისედაც მცირე ძალებით თამაშობდა თავდასხმაში და აბდურაიმოვის განდევნის შემდეგ, სულ ორიოდე ფორვარდი შემორჩა დინამოელთა საჯარიმო მოედანს და ეს უმნიშვნელო რაოდენობაც კი საკმარისი აღმოჩნდა 2 გოლის გასატანად. ეს პირველ ყოვლისა ტაშკენტელთა თავგამოდებული თამაშისა და დინამოელთა უყურადღებობის შედეგი იყო.

მასპინძლებმა მაქსიმალურ ტემპში დაიწყეს თამაში და ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული არაზუსტი დარტყმების გამო. მხოლოდ დიდი მოგვიანებით, 39-ე წუთზე იქნა აღებული კარი მეტრეველის მიერ, რომელმაც ძალზე ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა ბურთი პშენიჩნიკოვისაგან შორეულ კუთხეში.

მეორე ტაიმში ამბავთა მსვლელობას გაცილებით უფრო მწვავე და საინტერესო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პირველში. მე-4 წუთზე ტაზეტდინოვმა ზედ კარის წინ მიწოდა ბურთი და ნახევარდაცვის ზონიდან შემოჭრილი მუხინი თბილისელებს უმეთვალყურეოდ დარჩათ. მუხინმა დაყოვნებლივ გამოიყენა ეს მომენტი - 1:1.

მე-11 წუთზე დინამოელებმა საუკეთესო კომბინაცია გაითამაშეს: მეტრეველი-ბარქაია-იამანიძე, რომელიც ამ უკანასკნელმა გოლით დაამთავრა, მაგრამ სულ მცირე ხანში “პახტაკორმა” აღადგინა წონასწორობა. ტაჯიროვმა ცენტრალურ ზონაში მოუგო ბრძოლა “დინამოს|” მცველებს და მეორე გოლიც გაქვითა - 2:2. ასე მაქსიმალურად

გამოიყენეს ტაშკენტელებმა თავინათი შესაძლებლობანი ჩვენს კართან და ეს მით უფრო ყურადსაღებია დინამოელთა დაცვისათვის.

მე-20 წუთზე იამანიძემ ზუსტად ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე, სადაც ბრძოლა მეკარე პშენიჩნიკოვსა და ცენტრფორვარდ კალოევს შორის დამთავრდა ამ უკანასკნელის სასარგელობდ - 3:2. ათიოდე წუთის შემდეგ იმავე იამანიძემ გარღვევაზე გაიყვანა ბარქაია, რომელმაც ოსტატურად ითამაშა რამდენიმე მცველს შორის, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა მეოთხე გოლი - 4:2.

ა. ნადირაძე.
“ლელო”, 19 მაისი, 1963 წ.